ახალი ლეჩხუმი

პირველად იყო სიტყვა, და სიტყვა იყო ღმერთთან და სიტყვა იყო ღმერთი

რაიონის გამგეობისა და საკრებულოს ორგანო

რეგისტრაციის ნომერი №57/1-180

№21 (55) იანვარი, 2007 წელი

ფასი 30 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ჭური რჩეული სიბრძნისა“...

წმინდა მაქსიმე აღმსარებლის ხსენებას მორწმუნენი წელიწადში ორჯერ_3 თებერვალსა და 26 აგვისტოს აღნიშნავენ.

„ესე სანატრელი, ნერგი მშვენიერი ღვთისმსახურებისა, მორჩი ნაყოფიერი მოღვაწეობისა, ჭური რჩეული სიბრძნისა“_VII საუკუნის უდიდესი წმინდანი, ფრიად განსწავლული ფილოსოფოსის, რიტორისა და ღვთისმეტყველის ხსენების დღეს, 2007 წლის 3 თებერვალს უამრავი ქრისტიანი შეიკრიბა ცაგერში, იქ, სადაც წმინდანის ძვალთშესალაგია.

ცაგერისა და ლენტეხის ეპისკოპოსის, მეუფე სტეფანეს ლოცვა-კურთხევითა და სამხარეო, აღგილობრივი ხელისუფლების ძალისხმევით შესაძლებელი გახდა საზეიმო ელფერი მისცემოდა ამ უდიდეს დღესასწაულს.

ცაგერს ღვთისმშობლის სახელობის საკათედრო ტაძარში წირვა-ლოცვა აღავლინეს ახალციხის, ტაო-კლარჯეთისა და ლაზეთის **მიტროპოლიტმა თეოდორემ**, ხონისა და სამტრედიის **მთავარეპისკოპოსმა საბამ**, ცაგერისა და ლენტეხის **ეპისკოპოსმა მეუფე სტეფანემ**.

ზეიმმა წმინდანის საფლავზე_მურის კლდეკარში გადაინაცვლა სადაც ლიტანიობა და საზეიმო პარაკლისი აღევლინა.

დღესასწაულში მონაწილეობდა მხარის გუბერნატორი **ოთარ სირაძე**, პარლამენტარი **ვალერი გიორგობიანი**, ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **ომარ ჭაბუკიანი**, გამგებელი **ვახტანგ კერესელიძე**, ლენტეხის მუნიციპალიტეტის გამგებელი **სოსო ქურასბედიანი**.

დღესასწაული გრაპეზით დასრულდა.

წმინდანის ხსენების დღეს, მის საფლავთან მდგომ ნებისმიერ მართლმადიდებელს დიდი ღირსმოწამე მაქსიმე კიდევ ერთხელ შეგვახსენებდა:

„ღაე, მეგობრობით კეთილ ადამიანებს დავუკავშირდეთ; ჩვენი უახლოესი და უპირველესი საზრუნავით_ახლობლებს; ჩვენი სიყვარულით_ყველას; ჩვენი შემწეობით-გასაჭირში მყოფთ“.

მარინა სვანიძე

შემოდიოდა ჩვენში კალანდა



და მე ვიგონებ ჩახლართულ ლობეს,
სერებს თოვლიანს...
ხმობდა ქათამი გურიის სოფელს.
ყეფდა თოლია...
იდგა ბერმუხა ლამისმთევარი
თოვლში ნაბდითა...
დილით მისდევდა სერზე მნევარი
ნაკვლევს ნადირთა
ქარი თვრებოდა ღვინით ნაქებით
გრძნეულ მარანთან...
შემოდიოდა ჩიჩილაკებით
ჩვენში კალანდა...

ანა კალანდაძე

ომარ ჭაბუკიანი: „...ხალხის აზრი და განწყობა ის ბარომეტრი იქნება, რომელსაც ყოველთვის გავუნევთ ანგარიშს“

ინტერვიუ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარესთან

თვითმმართველობის არჩევნებმა საქართველოში უკვე ოთხი თვეა რაც ჩაიარა, ამ ხნის მანძილზე ბევრი ორგანიზაციული თუ შიდაკულუალური სამუშაოები მიმდინარეობდა, კანონის შესაბამისად ყალიბდებოდა მისი თითოეული სტრუქტურა თუ რგოლი. ახლა შეიძლება ითქვას, რომ ლეჩხუმის მოსახლეობის მიერ არჩეული რაიონული საკრებულო მუშაობას სრული სვლით შეუდგა.

ჩვენ, ახლადარჩეული მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს, ბატონ **ომარ ჭაბუკიანს** მივმართეთ და ვთხოვეთ, ძირეულ საკითხებში გაგვერკვია რაიონის მოსახლეობა, ჩვენი მკითხველი...

***

ომარ ჭაბუკიანი_დაიბადა ცაგერის რაიონის სოფელ ლესინდში; დაამთავრა ორბელის საშულო სკოლა, შემდეგ ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ფილოლოგიის ფაკულტეტი. იგი ლაჯანურისა და ენგურის ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის ერთ-ერთი აქტიური მონაწილე იყო. მუშაობდა სკოლაში პარტიის რაიკომსა და აღმასკომში პასუხსაგებ თანამდებობებზე, ხელმძღვანელობდა კულტურის სფეროს და ცაგერის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს.

ჰყავს მეუღლე_ქალბატონი მანანა ბურჯალიანი, ორი შვილი და ორი შვილიშვილი.

***

ბატონო ომარ! 5 ოქტომბრის თვითმმართველობის არჩევნებიდან მართალია კარგა დრო გავიდა, მაგრამ მოდით კიდევ ერთხელ შევახსენოთ მკითხველს შედეგები...

_2006 წლის 5 ოქტომბრის არჩევნებში საქართველოს „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა, მან ხმების 90% მიიღო. ამომრჩეველმა ერთსულოვნად დაუჭირა მხარი პარტიის წინასაარჩევნო პლატფორმას. მადლობა მათ ასეთი თანადგომისთვის!

ხალხმა აირჩია ახალი მუნიციპალური საკრებულო, რომელშიც 26 დეპუტატია და რომელზედაც ჩვენი მოსახლეობა დიდ იმედებს ამყარებს. თქვენი აზრით, არის თუ არა ზემოთხსენებული ორგანო ლეჩხუმის მოსახლეობის იმედის გრანტი?

_რაიონულ საკრებულოში 26 წევრია. მათი უმრავლესობა ახალგაზრდაა, მართალია გამოცდილება აკლიათ, მაგრამ ამოძრავებთ საქმის კეთების დიდი სურვილი. შემიძლია დავარწმუნო მკითხველი, რომ საკრებულოში დაცული იქნება კანონი და კანონიერება, მთელი ჩვენი ძალისხმევა მოხმარდება საბიუჯეტო შემოსავლების ზრდას, ქალაქისა და სოფლების კეთილმოწყობას, მოსახლეობის კეთილდღეობას.

მუშაობას კარგა ხნის წინ შეუდექით. ამ ხნის მანძილზე ალბათ პრიორიტეტებიც გამოიკვეთა?..

_მუშაობას ორიოდე თვის წინ შევუდექი. ამ ხნის მანძილზე ბევრმა მტკივნეულმა საკითხმა იჩინა თავი, რაც ჩემთვის უცხო არც ადრე იყო, რამეთუ რაიონში ვცხოვრობ და საკუთარი თვალით ვხედავ ყოველევეს. მეტად გვაწუხებს ის გარემოება, რომ ხალხი დაუსაქმებელია, მძიმეა სოციალური ფონი... მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლების დახმარება და ყურადღება ყოველდღიურად იზრდება. ვითარებას ამძიმებს ისიც, რომ გასული წელი მოუსავლიანი აღმოჩნდა, რაც გაზაფხულ-

გვ.2

ეროვნული ბიბლიოთეკა

ომარ ჭაბუკიანი: „...ხალხის აზრი და განწყობა ის ბარომეტრი იქნება, რომელსაც ყოველთვის გავუწევთ ანგარიშს“

ინტერვიუ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარესთან

(დასასრული)

ზე უფრო მტკივნეულად შეგვახსენებს თავს. არ არის ტექნიკა და მუშახელის ძალა, დაგვაკლდება სათესლე მასალა, როცა ამას ხედავს ხელმძღვანელი, თავს მშვიდად ნამდვილად ვერ იგრძნობს. ამის შეგნება მოსვენებას არ მაძლევს და ვცდილობ მოვძებნო გამოსავალი.

როგორ და რა პრინციპით დაკომპლექტდა მუნიციპალური საკრებულო და მისი აპარატი?

—როგორც ზემოთ მოგახსენეთ, საკრებულოში დასაქმებულთა უმრავლესობა ახალგაზრდობის წარმომადგენელია, მაგრამ გვყავს გამოცდილი, საქმის მცოდნე ადამიანებიც, ეჭვი არ გვეპარება რომ ამ ორი თაობის წარმომადგენელთა მუშაობის ნაყოფერი შეხამებით შედეგსაც სასურველს მივაღწევთ.

ახლახანს საკრებულომ რაიონის ბიუჯეტი დაამტკიცა. მართალია ეს გლობალური თემაა, მაგრამ მაინც—რამდენია ჩვენი ბიუჯეტი, რაზე გაკეთდა აქცენტი და რა ღონისძიებებია დაგეგმილი მოსახლეობის სოციალური პირობების გაუმჯობესებაზე, ქალაქის იერ-სახისა და ინფრასტრუქტრის განვითარებაზე?

—მ/წლის 6 თებერვალს საკრებულომ დაამტკიცა ცაგერის მუნიციპალიტეტის 2007 წლის ბიუჯეტი. გასულ წელთან შედარებით, მისი საშემოსავლო ნაწილი 102 ათასი ლარით გაიზარდა და შეადგენს ერთ მილიონ 200 ათას ლარს. ბიუჯეტის 60% მიმართულია მოსახლეობის სოც. პირობების გაუმჯობესების და მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის განვითარებისაკენ. წელს დამთავრდა ქალაქის წყალსადენის რეაბილიტაცია ამ საქმეს სულ 720 ათასი ლარი მოხმარდება.

შეიქმნა თუ არა ახალი ტიპის სამსახურები და რამდენი უმუშევარი მოქალაქე დასაქმდა?

—რამდენიმე ახალი ტიპის სამსახური მართლაც შეიქმნა. მათ შორისაა საინფორმაციო-ანალიტიკური და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება, მოსაკრებლებისა და კეთილმოწყობის სამსახურები, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ორგანოები და სხვ. არჩევნების შემდეგ მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულმმართველობის ორგანოებში სულ დასაქმდა 102 ადამიანი.

მუნიციპალური საკრებულო და მუნიციპალური გამგეობა ალბათ სწორედ ის ტანდემია, რომელთა შეთანხმებულ მუშაობაზე დიდადაა დამოკიდებული ლეჩხუმის ხვალინდელი დღე. როგორ თანამშრომლობას გეგმავთ?

—თუ ვიტყვი, რომ კომუნიკაბელური ვარ, ვინც კარგად მიცნობს, არ გაუკვირდება. საკრებულო და გამგეობა მუნიციპალიტეტის ორი შტოა, მათი შეთანხმებული მუშაობის გარეშე, წარმატებაზე ლაპარაკიც ზედმეტია. ჯერჯერობით ჩვენს მუშაობაში გაუგებრობას ადგილი არ ჰქონია. ვეცდებით, რომ მსგავსი პრეცენდენტი მომავალშიც არ გამოვლინდეს!

რა ღონისძიებებია დაგეგმილი რაიონის ახალგაზრდების დასაქმების მიმართულებით?

—გითხარით და კიდევ გავიმეორებ —საკრებულოსა და გამგეობის სტრუქტურებში დასაქმებულთა აბსოლუტური უმრავლესობა ახალგაზრდობაა, პრიორიტეტი მომავალშიც მათი შრომითი მოწყობა იქნება.

არის თუ არა სერიოზული რეფორმები მოსალოდენლი კულტურისა და ჯანდაცვის სფეროებში?

—რეფორმები დღეს ცხოვრების ყველა სფეროს მოიცავს, მათ შორის კულტურისა და ჯანმრთელობის სამსახურებსაც. ჩვენი ძალისხმევის მიუხედავად, კულტურის ობიექტების რაოდენობა და დაფინანსება გარკვეულად შემცირდება. ასეთი პროცესებიდან არც ჯანმრთელობის სამსახურია დაზღვეული. მაგრამ მინდა დავძინო, რომ წელს ცაგერში იგეგმება ახალი, თანამედროვე საავადმყოფოს მშენებლობა, რაც კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება მოსახლეობის ჯანმრთელობის გაუმჯობესების გზაზე.

ლეჩხუმი სტიქიური ზონაა... აქ ერთნაირად საშიშია წელიწადის ნებისმიერი სეზონი. ალბათ ბიუჯეტში ამ მხრივაც გააკეთეთ გათვლები...

—სტიქიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლაში ჩვენი შესაძლებლობები, სამწუხაროდ, ძალზე შეზღუდულია და ძირითადად ორიენტირებულები ვართ რესპუბილკის მთავრობის დახმარებებზე.

ჩვენი ბიუჯეტის შევსების ძირითად წყაროებს რაში ხედავთ?

—ძირითადი წყაროებია საშემოსავლო და ქონების გადასახადები, ბუნებრივი რესურსების მოსაკრებლები, კაპიტალური შემოსავლები და გამოთანაბრებითი ტრანსფერი. გარკვეულ თანხებს ველით მშენებლობებიდან და ტრანსპორტიდან.

სიახლეები, რომელსაც უნდა ელოდეს ჩვენი მოსახლეობა თქვენგან, როგორც ახლადარჩეული ხელისუფლებისაგან?

—ჩვენგან მოსახლეობა თანადგომას, დახმარებას, ყურადღებას და მხარდაჭერას უნდა ელოდეს, უნდა ექნეს ყველა მტკივნეული საკითხების გადაწყვეტის იმედიც. ხალხის აზრი და განწყობა ის ბარომეტრი იქნება, რომელსაც ყოველთვის გავუწევთ ანგარიშს.

სიძნელეები, რომლებიც გაართულებს თქვენს მუშაობას?

—სიძნელეები, მუშაობის პირველ ეტაპზე, იმაზე მეტი იქნება, ვიდრე მოველოდით, მაგრამ ამას შეგუებულები ვართ და საგანგაშის ვერაფერს ვხედავთ...

თქვენ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ცაგერის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე ბრძანდებით—თუ იგეგმება საკადრო ცვლილებები პარტიის ხელმძღვანელობაში?

—რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, პარტიაში მოსალოდნელია სერიოზული რეფორმები, რაც მალე გახდება ცნობილი.

რას ეტყოდით ჩვენს მოსახლეობას, რითი დააიმედებდით?

—ჩვენს მოსახლეობას, ჩვენს ლეჩხუმელებს მშვიდობიან გამოზამთრებას, ჯანმრთელობას და გამძლეობას ვუსურვებთ. მინდა დავაჯერო ისინი, რომ რაიონის ხელმძღვანელობა მათ პრობლემებს არასოდეს დატოვებს უყურადღებოდ და ყველაფერს გააკეთებს მათი სოციალური ყოფის გაუმჯობესებისათვის.

P.S. ბატონ ომარ ჭაბუკიანს ჩვენი გაზეთის მკითხველი ადრეც შეხვედრა, ოღონდ ცოტა უცნაურ ამპლუაში— იგი ძალიან მოკრძალებულად და თავაზიანად გვრთავდა ნებას დაგვებეჭდა მისი მართლაც მშვენიერი ლექსები, გაგვეცნო თქვენთვის მისი პოეტური შემოქმედება. დღეს კი ის ალბათ სულ სხვა ამპლუაში წარმოგიდგინეთ.

იმედს ვიტოვებთ—მას ამ უდიდეს პასუხსაგებ თანამდებობაზე მუშაობა ისეთივე შინაარსიანი და მრავლისმთქმელი გამოუვა, როგორიც მისი შემოქმედება. წარმატებებს გისურვებთ!

მარინა სვანიძე

ჰოლანდიელი ფოტოხელოვანი სტუმრად

ალექსანდრე მაკედონელის მონეტა, IV ს. ჩვ.წ-მდე, რომელიც დაცულია ცაგერის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში.

შარშან ზაფხულში ჰოლანდიიდან ცაგერის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს საინტერესო სტუმარი ეწვია—ფოტოხელოვანი ქალბატონი ელკე რულანტი, რომელსაც თან ახლდა თარჯიმანი.

სტუმარი იმთავითვე მოიხიბლა ლეჩხუმური ბუნებით, პეიზაჟით, ისტორიით, წარსულით, ყოფითა და ტრადიციებით.

ვიზიტი საქმიანი გახლდათ. ფოტოხელოვანმა ფოტო პირზე აღბეჭდა მუზეუმში დაცული თითქმის ყველა ექსპონატი და შექმნა მასალა ალბომისათვის, რომელიც წელს გამოიცა ჰოლანდიაში. ალბომი ქართულ და ინგლისურენოვანი იქნება.

წელს იანვარში კვლავ გვეწვია ელკე, რათა მეცნიერული შეფასება მიელო ღირსშესანშინავ ყველა ექსპონატზე. მას დაგეგმილი აქვს ფართო ხასიათის ვიდეოფილმი გააკეთოს ლეჩხუმის ბუნებასა და ადამიანებზე. ფილმისათვის საკმაო მასალა წაიღო. ვიდეოფილმი გავა ჰოლანდიასა და ევროპის სხვა ქვეყნებში.

უცხოელი ახალგაზრდა ფოტოხელოვანი აღფრთოვანებული იყო ჩვენი კუთხით, სტუმართმოყვარეობით. ცდილობდა რაც შეიძლება მეტ ოჯახში მოხვედრილიყო და დაეფიქსირებინა ყველა დეტალი ჩვენი ყოფისა.

თინათინ სალინაძე

მე ბედნიერი ვარ, რომ...

14 იანვარი–ქართული თეატრის დღე!

102 წელია ლეჩხუმში თეატრალური კოლექტივი არსებობს. სცენისმოყვარეების ვარლამ მახარობლიძის, ვარლამ გოლეთიანის და ვალიკო გუგავას მიერ შექმნილმა დასმა საფუძველი მოუმზადა საკოლმეურნეო თეატრის, ხოლო შემდეგ სახალხო თეატრის ჩამოყალიბებას, ამ წლებმა მოიტანეს არაჩვეულებრივი სპექტაკლები, ბრწყინვალე როლები, წარმოადგინეს თვითმყოფადი ნიჭით დაჯილდოებული მსახიობები, მოიტანეს სიხარულის ცრემლები და... მაყურებლის თაყვანისცემა, რომელიც უკვე ცაგერის სახალხო თეატრის მრავალწლიანი ისტორიის კუთვნილებაა.

მაყურებელი რომ მიიზიდო, სცენაზე ცხოვრებისა და ხელოვნების ცეცხლი უნდა დაანთო, უნდა იწვოდე თეატრის სიყვარულით და გამარჯვების რწმენით. ასეთი სიყვარული ხელოვნებისა ცაგერის სახალხო თეატრს „ჰქონდა, აქვს და ექნება."

მე ბედნიერი ვარ, რომ მდიდარი ტრადიციების მქონე გრ. მდივნის სახელობის 102 წლის თეატრალური დასის წევრი ვარ, ბედნიერი ვარ, რომ მითამაშია სევერიან კოპალიანის გვერდით, დღეს კი იმ ადამიანებთან ერთად ვდგავარ, რომლებიც მთელს სულს უანგაროდ აქსოვენ თეატრის სიყვარულს, ესენი არიან: ზაზა ყურაშვილი, გიორგი შკუბულიანი, სოზარ ბენდელიანი, ალბერტ ბენდელიანი, ნატო სილაგაძე, ვალიდა ბენდელიანი, გულნაზ გოლეთიანი, მანანა კოპალიანი, ხათუნა სილაგაძე, ენთუზიაზმით, ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე ისუნთქავენ თეატრის მტვერს.

თეატრის დღე მინდა მივულოცო თეატრის მსახიობებს ბაბუცა ბაქრაძეს, რუბენ გოგიძეს, შოთა ახვლედიანს, ოტელო მდივანს, გრიგოლ ბენდელიანს, აკაკი სილაგაძეს და სხვებს.

თეატრი ის არენაა, საიდანაც კულტურული ცხოვრების ძალა და შინაარსი გამოკრთის, ამიტომ უნდა სახალხო თეატრს გვერდში დგომა და დახმარება, დამერწმუნეთ, რომ არასოდეს დაირღვევა მაღალი თეატრალობის ტრადიცია ცაგერის სახალხო თეატრის სცენაზე.

ნუ მოშლოდეს თეატრს გულგამთბარი მაყურებელი!

დარეჯან სალინაძე,
ცაგერის სარაიონო კულტურის სახლის დირექტორი

მხატვარ-დეკორატორის პროფესიული კრიზისები

სამების საკათედრო ტაძრის გზას რომ აუყვებით, ძველ იტალიურ ეზოში პატარა ბინაა, სადაც თავმოყრილია მხატვრულ-დეკორატიული ნამუშევრები, **ქეთი ბურჯალიანის** ხელით შექმნილი. მხატვრის ამ სამყაროში მხოლოდ მისი ახლო მეგობრები ხვდებიან. 23 წლის ხელოვანმა წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დეკორატიული ქსოვილების ფაკულტეტის ბაკალავრიატი წარჩინებით დაამთავრა. ამჟამად მაგისტრატურაში ჩასაბარებლად ემზადება და თავის დებიუტს პროფესიულ არენაზე პირველი პერსონალური გამოფენის მოწყობით აპირებს.

ქეთი ხატვამ ჯერ კიდევ ბავშვობაში, ცაგერის საშუალო სკოლაში სწავლისას გაიტაცა. რაიონულ ცენტრში დღემდე ფუნქციონირებს ის სამხატვრო გალერია, სადაც პატარა გოგონა მშობლებს ხატვის წრეში მიუბარებიათ. მისი პირველი პედაგოგები, გია ლეთოდიანი და გია დავითულიანი ახლაც ზრუნავენ თავიანთ ნამოწაფარზე. ისე როგორც სხვაგან, დღეს ცაგერში კულტურული ცხოვრება ჩამკვდარია. ხელოვნებაზე მხოლოდ ხელოვანი ხალხი თუ ზრუნავს, ამიტომ ცაგერის გალერეის მესვეურებმა თავად შესთავაზეს ქეთი ბურჯალიანს პირველი პერსონალური გამოფენის მოწყობა. ამ ღონისძიების სპონსორობა კი იტალიაში თარჯიმან-რეფერანტის სპეციალობის შესასწავლად წასულმა და იქ დაოჯახებულმა დამ, ნათია ბურჯალიანმა-ამიტომ იკისრა. რა თქმა უნდა, ასეთი მხარდაჭერა ახალგაზრდა მხატვრისათვის დიდი სტიმულია, ყველაზე მნიშვნელოვანი კი საკუთარ მხარეში აღიარებაა. მან ხომ სწორედ აქ გადადგა პირველი ნაბიჯები,–დახატა პირველი ნატურმორტი და პირველი პეიზაჟი. როგორც ქეთი იხსენებს, სკოლაში განსაკუთრებით არ უყვარდა მათემატიკა და გაკვეთილზე ხშირად თავს ხატვით იქცევდა, რისთვისაც მასწავლებელს არაერთხელ დაუტუქსავს. სამაგიეროდ, გამორჩეულად აინტერესებდა ბიოლოგია, ყოველთვის მაღალ შეფასებას იღებდა. აქტიური მოსწავლე იყო. 1996 წელს ქუთაისში ორგანიზებულ რაიონულ კონკურსში მისი თემა ბიოლოგიაში პირველი ხარისხის დიპლომით დაჯილდოვდა. ხატვის პირველ კონკურსში მონაწილეობა კი მას ცაგერის გალერიაში მიუღია და პრიზის სახით თიხის აქსესუარებით ხელდამშვენებული დაბრუნებულა შინ.

შემდეგ ოჯახი საცხოვრებლად ქუთაისში გადადის. ქეთი სწავლას სამხატვრო ლიცეუმში აგრძელებს, მისი და, ნათია–კი უცხო ენების კოლეჯში. გორაზე ქირით მცხოვრებ ოჯახს ფინანსურად უჭირდა და დებს სასწავლებლად ცენტრში ჩასვლა ხშირად ფეხით უწევდათ. 1999 წელს ლიცეუმში ორგანიზებულ მოდელირების კონკურსში ქეთი ბურჯალიანს მონაწილეობისათვის მადლობის სიგელით აჯილდოებენ. სწავლის პერიოდში იგი არაერთ ჯგუფურ გამოფენაში მონაწილეობდა. განსაკუთრებით ემადლიერება ლიცეუმში თავის პედაგოგს ბესო ცნობილაძეს, რომელიც მოსწავლეს სახატავ ინვენტარს საკუთარი სახსრებით უძენდა. ლიცეუმში სწავლის პერიოდში, როგორც ფრიადოსანმა სტუდენტმა, ლიტერატურულ კონკურსშიც მიიღო მონაწილეობა და ლიცეუმის ხელმძღვანელის ბ-ნ რეზო რამიშვილის საავტორო წიგნი ავტოგრაფით მიიღო საჩუქრად.

2001 წელს სამხატვრო აკადემიაში შესასვლელად საბუთებს აგროვებდა, მაგრამ ოჯახის მეგობრის, კომპოზიტორ კახა ცაბაძის რჩევით, ქეთიმ აზრი შეიცვალა. ასე მოხვდა ნიჭიერი გოგონა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დეკორატიული ქსოვილების ფაკულტეტზე. ისუ-ში სწავლის ბოლო კურსზე ურთულესი ავადმყოფობა გადაიტანა, მაგრამ აქაც ლექტორები ედგნენ გვერდით და ეხმარებოდნენ. განსაკუთრებით ემადლიერება, ლექტორებს მსოფლიო ხელოვნების ისტორიაში ლადო ასათიანს და სახელოვნო პროექტების ორგანიზებაში თამაზ თუთაშვილს. თავის კურსზე დეკორატიულ ქსოვილებში ერთადერთი სტუდენტი აღმოჩნდა, საერთო ლექციები მოდელირების ფაკულტეტის სტუდენტებთან ჰქონდა. სწყდებოდა გული, რომ ერთადერთი იყო, მაგრამ ეს მდგომარეობა უფრო მეტ სტიმულსაც მატებდა. დღესდღეობით მისი სპეციალობით სულ უფრო მეტი და მეტი ახალგაზრდა ინტერესდებოდა. უნივერსიტეტში ორგანიზებულ ჯგუფურ გამოფენებშიც ყოველთვის იღებდა მონაწილეობას.

მხატვრობასთან ერთად ხელსაქმე იტაცებს. როგორც საუბარში აღნიშნა, ქარგვა ჯერ კიდევ ბავშვობაში ბებიამ ასწავლა. უკვე თბილისში ჩამოსულმა, უნივერსიტეტში სწავლის პარალელურად, სამრეველო სკოლაში გაიღრმავა ცოდნა. შეისწავლა ქართული ტრადიციული ნაქარგობა–ოქრომკედი, რომლის ტექნიკაც საეკლესიო აქსესუარების მოსაქარგად გამოიყენება, აიოვისა ხევსურული ორნამენტი. ამჟამად GS-გალერიაში დიზაინერების ქეთი დარსაველიძისა და ელენე ფირცხელაურის ხელმძღვანელობით არტ-დეკორს და ბატიკას ეუფლება. ბატიკაში ადრეც მუშაობდა, მაგრამ ტექნიკის დახვეწა ას სამთვიან კურსებზე მოახერხა.

ქეთი ბურჯალიანის ცხოვრებაში წლევანდელ შემოდგომას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. იგი თავისი შემოქმედებით ფართო საზოგადოების წინაშე პირველად წარსდგება, თუმცა მხატვრის საზომი ულევია, იგი თანამედროვეობის სარკეა. ასე რომ, ეს ერთი და სხვა მრავალი წარმატება ვუსურვოთ ნიჭიერ ახალგაზრდა მხატვარ-დეკორატორს პროფესიულ ასპარეზზე. ჩვენ კი ისღა დაგვრჩენია, დავტკბეთ მისი შემოქმედებით.

თამარ ნინიძე,
ჟურნალი „საქართველოს ქალი"

სუფრა - ქართული სულიერ ღირებულება

გარეთ გულითადი ზამთარია. თოვლის ქათქათა საბურველი მოუსხამს მიდამოს, ყინავს. ქვედა ცაგერის საჯარო სკოლის სამასწავლებლოში კი ზომაზე მეტი სითბოა, ყვავილები და გულუხვი სუფრაა გაშლილი საახალწლო სიმბოლოებით დამშვენებული. კონტრასტი საოცარ რომანტიკას ქმნის და ჩვენს განწყობას ამაღლებს.

მასპინძლებს_სკოლის დირექციას, პედაგოგებს დაუპატიჟებიათ ყველა, ვინაც სკოლის რეკონსტრუქციის საქმეში მნიშვნელოვანი, ან თუნდაც მცირეოდენი წვლილი შეიტანა, ვინაც გულთან მიიტანა ეს კეთილშობილური საქმე.

საზეიმო ნამდვილად აქვს კოლექტივს. აქ ხომ სასწავლო წელი განახლებულ სკოლაში დაიწყო. თვალსა და გულს ახარებს ქათქათა კედლები, დერეფანი, კლას-კაბინეტები, ახალი დგამ-ავეჯი, წესრიგი და სისუფთავე... სტუმრად მოსულან მშენებლები, სოფლის ხელმძღვანელები, რაიონული გამგეობის, ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წარმომადგენლები...

სუფრის წევრებს ახალი წელი მიულოცა სკოლის დირექტორმა ნუნუ კოპალიანმა, მან დალოცა და მადლიერებით მოიხსენა ყველა, ვინც სულითა და გულთ იყო ჩართული სკოლის განახლების საქმეში.

შეუდარებელია ქართული სუფრა თავისი ეშხით, შემოქმედებით, სულიერებით, ასე იყო ჩვენს შემთხვევაშიც. სუფრას ჩვეული შემართებით უძღვებოდა ბატონი დავით კოპალიანი. თითოეული სადღეგრძელო გახლდათ მოფერება სტუმრისა და მასპინძლის გულიანი საუბარი სკოლაზე, მის მომავალზე, დღევანდელობაზე, ყოველივე აქტუალურზე, მინიშნება მისანიშნებელზე, სუფრა გაჯერებული იყო ემოციით, იუმორით, სიმღერით, ვიჯექი მონუსხული და ვფიქრობდი: ასეთი გულღია, წრფელი საუბარი კარგად ორგანიზებულ სპეციალურ ღონისძიებაზე იშვიათად თუ იქნება-მეთქი.

თუმც მოწვეულმა ზოგიერთმა სტუმარმა ვერ „მოიცალა“ ამ დღისთვის და ამით, ვფიქრობ, ბევრი რამ დააკლდა, რა თქმა უნდა, კარგი გაგებით.

მადლობა გულღია მასპინძლებს. იმ ღამაზ დღეს ბედნიერი ახალი წელი დავიბედეთ.

მზევინარ ძნელაძე

ახლებურად დანახული გაკვეთილი

თანამედროვე ზოგადსაგანმანათლებლო რეფორმების პირობებში არა ერთი სასიკეთო და სასიამოვნო ცვლილებების ფონზე, კლასში ჩატარებული გაკვეთილი კარგა ხანია გაცდა ჩვენი თაობების დროინდელ დაშტამპულ და უფერულ „სანახაობას“ (აქ მხოლოდ გაკვეთილის ფორმა იგულისხმება და არა მასწავლებელთა პროფესიონალიზმი). ნებისმიერი გაკვეთილი ისეთი ფორმით ტარდება, რომ მოსწავლეთა უმრავლესობას სულაც აღარ ახსენდება საათზე წამდაუწუმ ყურება „ჯოჯოხეთური“ 45 წუთის სწრაფად გარბენის გამო. სწორედ ასეთი გაკვეთილის ფორმა შემოგვთავაზეს ცაგერის საჯარო სკოლის 1ა კლასის მოსწავლეებმა მუსიკისა და ხელოვნების გაკვეთილზე (პედაგოგი იზა ხეცურანი).

გაკვეთილს შემაჯამებელი სახე ჰქონდა და იმ პერიოდს მოიცავდა, რასაც ახლა თანამედროვე სასკოლო ენაზე „ტრიმესტერს“ ეძახიან. გაკვეთილი საქართველოს რესპუბლიკის სიმბოლიკის ცოდნის განმტკიცებით დაიწყო და დიდებმა და პატარებმა ერთსულოვნად შეასრულეს საქართველოს ჰიმნი. პატარები ერთმანეთს ასწრებდნენ_რომ ჰიმნის მუსიკა ზაქარია ფალიაშვილს ეკუთვნის, ტექსტი იოსებ კეჭაყმაძეს, რომ ჩვენი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილია, რომ „ლალე-ლალეს“ ადრეც დიდი მონდომებით მღეროდა ქართველი და რომ „ქრისტეშობას“ მართლმადიდებელთათვის უდიდესი სულიერი ღირებულება აქვს...

ერთ-ერთი საინტერესო ნაწილი გაკვეთილისა გახლდათ მათი პაწია ხელებით შექმნილი ნახატების გამოფენა და ბავშვური ფანტაზიით ახსნა: „მე ნაძვის ხე დავხატე იმიტომ, რომ ძალიან მიყვარს ზამთარი“, „მე კი გაზაფხული დავხატე. იმიტომ, რომ დარებია“, პაწიები მიუხედავად ასაკობრივი ზღვარისა, კარგად ერკვევიან ისეთ ტერმინებში, როგორიცაა „სოლისტობანა“, „დაისის“ ელემენტები, „აკორდი“, „ქალაქური სიმღერები“.

ერთი შეხედვით ამ ერთ ჩვეულებრივი გაკვეთილზე, პატარებმა უამრავი არაჩვეულებრივი რამ მოგვითხრეს და გვაჩვენეს, ეს კი პირველ რიგში პედაგოგის, იზა ხეცურიანის დამსახურებაა.

მარინა სვანიძე

ბიბლიოთეკაში

შობა-ახალი წელი ზეიმით აღნიშნეს ცაგერის რაიონული ბიბლიოთეკის საბავშვო განყოფილებაში. პატარებს და ბიბლიოთეკის თანამშრომლებს ჩვეული გულმოდგინებით მოემზადებინათ სახელდახელო ღონისძიება.

ლექსებით, სიმღერებით, სხვადასხვა გამონათქვამებით და საშობაო მილოცვებით ცვლიდნენ ბიბლიოთეკის მკითხველები ერთმანეთს, მათ მუსიკალური განწყობის შექმნაში ქალბატონი გულნაზ გოლეთიანი ეხმარებოდათ.

პატარებს და სტუმრებს შობა-ახალი წელი მიულოცათ ცენტრალური ბიბლიოთეკის დირექტორმა ქალბატონმა ციცო სადილიანმა, საბავშვო განყოფილების გამგემ ქალბატონმა ლალი ფანჯარაძემ, კულტურის სფეროს ლიდერებმა ბატონებმა გიორგი ჯვირიკაშვილმა და ზაზა ყურაშვილმა.

ბიბლიოთეკიდან პატარები ხელცარიელნი არ გაუშვეს, აქ მათ საახალწლო ნობათი_ტკბილეული დაურიგეს და ფრიად გაახარეს.

დიდი მადლობა ბიბლიოთეკის მთელს კოლექტივს ასეთი ლამაზი საღამოებისათვის, ამხელა ენთუზიაზმისათვის.

თამარ დავითულიანი

ჩვენ გვწერენ

მძიმე გამოდგა წლევანდელი ზამთარი_დიდთოვლობამ, ყინვებმა პრობლემები შეგვიქმნა, გაუყინა გზები, გართულდა ტრანსპორტის მოძრაობა. ამ ბოლო დღეებში მოსულმა წვიმამ კიდევ უფრო დაამზიანა გზები და ხიდები.

ბუნებრივია ჩვენს ქალაქსაც გაუჩნდა ბევრი თავსატეხი. ქალაქის ქუჩები და ცენტრალური ადგილები თითქოს გაიწმინდა, მაგრამ ეტყობა_უხარისხოდ. ქუჩებში თოვლი და წყალი დგას, ამოივსო წყალგამტარი არხები, ერთნაირად უჭირთ გავლა ავტომანქანებს და ფეხით მოსიარულეებს.

და ამას ჩვეულებრივად უყურებენ მოწოდებული ორგანიზაციები. დავიჯეროთ არ არსებობს სათანადო ტექნიკა და საშუალება, რომ ქალაქი ნორმალურად გაიწმინდოს?

სხვა თუ არაფერი, ჩვენს უსაფრთხოებაზე მაინც ვიზრუნოთ.

მ. ბურული,
მ. შკუბულიანი

საბავშვო ბაღში

№2 საბავშვო ბაღმა წელსაც არ უღალატა ტრადიციას და ახალ 2007 წლის შემობრძანება კარნავალით აღნიშნა. როგორც ყოველთვის, ახლაც საზეიმო ელფერით ბრწყინავდა დარბაზი. სახელდახელოდ მორთულს კიდევ უფრო მეტ შთაბეჭდილებას მატებდა ლამაზი სათამაშოებით მორთული ნაძვის ხე. პაწიებიც თავიანთ ძალებს არ იშურებდნენ, რათა მეტად დახვეწილი არტისტიზმით წარმდგარიყვნენ მაყურებლის წინაშე, რაც, უნდა ითქვას, კარგადაც გამოსდიოდათ. ზოგი ცხოველთა მეფეს განასახიერებდა, ზოგიც მელიას ჰყავდათ ასევე თოვლის დედოფალიც.

თოვლის ბაბუამაც გაახარა პატარები მისი მოსვლით და სიურპრიზიც მოუწყო მათ.

წარმოთქვეს ბევრი ლექსი, სიმღერებს კი მზია მასწავლებელს აკომპანიმენტით ასრულებდნენ მათ ნიჭიერების წარმოჩენას საზღვარი არ ჰქონდა. ბავშვების სიხარულს მათ პედაგოგ-აღმზრდელები იზო ბობოხიძე, ნატო ფოჩხიძე, ფიქრია კოპალიანი ბაგა-ბაღის გამგე ლელა კვირიკაშვილი და მთელი დარბაზი იზიარებდა.

ბაღების დღევანდელი მდგომარეობისა მიუხედავად ყოველ მასწავლებელი ინდივიდუალურა უდგება თითოეული ბავშვის ფრთხილ და სათუთ გონებას. აი, ამაში იგრძნობა მათი პროფესიონალიზმი.

ეკა ყვირილიანი

„ᲓᲐᲕᲬᲧᲐᲚᲐᲕ ᲪᲮᲝᲛᲚᲝᲑᲡ, ᲗᲕᲐᲚᲔᲑᲖᲔ ᲛᲬᲛᲓᲑᲐᲩᲡ ᲓᲐ ᲩᲝᲛᲡ ᲮᲡᲜᲣᲕᲜᲐᲛᲘ ᲓᲐᲕᲢᲜᲣᲕᲑᲑ ᲪᲜᲪᲮᲐᲚᲡ“

2005 წლის გვიანი შემოდგომა იდგა. გაზეთ „ახალი ლეჩხუმის“ მუშაკებმა რიდით შევაღეთ სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის ცაგერის ფილიალის დირექტორის კაბინეტის კარი. ბაგონმა ვალერიანმა თბილად მიგვიღო, თბილად გვესაუბრა, მერე ინტერვიუზე შეგვთანხმდით, ღღე დაგვითქვა და...

თურმე ეს უკანასკნელი შეხვედრა იყო, ჩვენი ინტერვიუ არ შედგა.

უცებ, მოულოდნელად, გულდასაწყვეტად წავიდა ამა ქვეყნიდან ვალერიან ბენიძე-დიდი მეცნიერი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, სახელმწიფოს მრავალი ჯილდოს, მათ შორის ღირსების ორდენის კავალერი, ქვეყნის თავდაცვისა და უშიშროების ღვაწლმოსილი მუშაკი.

წავიდა ჩვენგან დიდებული, სათუთი სულის პიროვნება, განუმეორებელი კაცი, რომელიც მთელი სიცოცხლე თავდაუზოგავად იხარჯებოდა, სანთელივით იწვოდა, შეუძლებელს აკეთებდა სოფლისთვის, ქვეყნისთვის, მოყვასისთვის, ჩვენი სულის გადარჩენისთვის.

დეკემბრის უჩვეულოდ თბილი ღღეა. ზუბში ულამაზეს „წმინდა გორაზე“ წმინდა გიორგის სახელობის გუმბათიანი გაძარი და ეზო ვერ იტევს ზღვა ხალხს, ზღვა ცრემლი და სიყვარული მიაცილებს ბაგონ ვალერიანს უკანასკნელ გზაზე.

საღამოს ბინდი ჩამოწვა ცხედარი გაძრის კედელთან დასვენეს, ზმენ უკანასკნელი სხივი უსაგზალა მის სპეტაკ შუბლს და დასავლეთისაკენ ჩაესვენა. ასხიდან და ხვამლიდან მონაბერი ნიავიც უკანასკნელად ეამბორება წმინდა ჭალარას. ღსრულდა გამოთხოვება.

ზუბის წმიდა გიორგის სახელობის გაძრის მიწამ სამუდამოდ ჩაიერა გულში ამაევ გაძრის აღმაშენებელი. ასეთი რამ რჩეულთა ხვედრია, სოფელმა იცის გამორჩეული შვილის გამორჩეული სიყვარული.

***

ბაგონი ვალერიან ბენიძის გარდაცვალებიდან ერთი წელი გასრულდა. წლისთავზეც დიდძალი ხალხი ეწვია ზუბს. ზუბის „მთა წმინდას“, მოილოცეს ვალმოსდილი მამულიშვილის საფლავი, უფალს შესთხოვეს მისი სულის უკვდავება. ისევ გაიცსო საფლავი ცრემლით, ყვავილებით, სანთლებით.

***

წლისთავისათვის გამოვიდა წიგნი „მოგონებები ვალერიან ბენიძეზე,“ რომლის შემადგენელი გახლავთ, ღვაწლმოსილი უნიჭიერესი ჟურნალისტი, არა ერთი წიგნის ავტორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერ-თანამშრომელი, ბაგონი ვალერიანის მეუღლე ქალბაგონი იზოლდა ხაინდრავა...

„ვალერიან ბენიძემ, ვკითხულობთ წიგნის შესავალში—გამორჩეული კაცურ-კაცობითა და ღირსეული მამულიშვილური ცხოვრებით იღვაწა. იყო თვალსაჩინო მეცნიერი და პედაგოგი, ღირსმყოფი მიწყივ გახსენებისა, ასეთი მოღვაწენი შთამომავლობას გზას უნათებენ, სამომავლო პერსპექტივებს უჩვენებენ. ეს მოგონებებიც იმის კიდევ ერთი ცხადმყოფი მაგალითია, თუ როგორ უნდა დაგოვო კვალი წარუშლელი.“

წიგნში თავმოყრილია ახლობლების, მეგობრების, კოლეგების, სტუდენტების, სხვათა და სხვათა ტკივილიანი მოგონებები. ისინი ქედს იხრიან ნათელი კაცის ხსოვნის წინაშე, მისი კაცობისა და ჭეშმარიტი მამულიშვილობის წინაშე.

წიგნი იხსნება ცაგერ-ლენტეხის ეპისკოპოსის მეუფე სტეფანეს (კალაიჯიშვილი) მოგონებით: „ბაგონი ვალერიანის ცხოვრება არის მაგალითი იმისა, როგორ ზრუნავდა ადამიანი თავის სულზე და ამით როგორ იზრუნა ყველა გარშემყოფის სულზე; როგორ გაეკეთა ყველაფერი ისე, რომ ამდენი ხალხი და ანგელოზთა დასი აცილებს. თავის აშენებულ გაძართან საფლავდება, ესაა სულიერი გაძარი, რომელიც მან ააგო ისეთი რამით, რაც მატერიალური არაა, ესაა სიხარულის გაძარი, რომელიც დღეს, ხვალ, ზეგ მისი სულის უკვდავებაზე იმეგყველებს.

ჩვენ კი ვგლოვობთ დღეს, განშორებაა ამქვეყნიური, მაგრამ გვიხარია, რომ ეს ადამიანი არის ის ღირსეული სული, რომელიც უფალთან წარსდგება. იცხოვრა, იშრომა, გამოიკელა—ეს არის ჭეშმარიტი მეცნიერი. მეცნიერი ის კი არაა, ვინც ღმერთს უარყოფს, ვინც ჭეშმარიტებას ებრძვის, მეცნიერი ის არის, ვინც ჭეშმარიტებას ეძებს, ეძებს თავისი კვლევით, ცხოვრებით, მოღვაწეობით. ბაგონი ვალერიანი იქ იდგა, სადაც საჭირო იყო, მან დაინახა როგორ უნდა განწმინდოს თავისი სული.

ყველას უნდა გვახსოვდეს, რომ დადგება ჟამი, როცა გარდაცვალება გარდაუვალი იქნება, მაგრამ სიკვდილიდან სიკვდილში არ მოგვიწევს გადასვლა, არამედ სიკვდილიდან სიცოცხლეში იყოს ჩვენი გარდაცვალება, როგორც ღღეს ბაგონი ვალერიანის გარდაცვალება და მისი სამუდამო სამყოფელია.

ყველას, მათ შორის ჩემს თავსაც ვუსურვებდი, ისეთი აღსასრული გვქონდეს, როგორიც ბაგონ ვალერიანს.“

მეუღლე იზოლდა ხაინდრავა

„შენი დაბადების თვე დეკემბერია, გარდაცვალებისაც—დეკემბერი, ჩვენი ერთად ყოფნის 52 წლის მანძილზე პირველად შეეხვდით უშენოდ 15 დეკემბერს, შენი დაბადების ღღეს, ახალ წელს, ჩვენს ქორწინების ღღესაც—10 იანვარს. თავს იმით ვაიმედებ, რომ არ შეიძლება მოკვდეს კაცი, რომელიც ამდენ უზომო სიყვარულს, სათნოებას და სიკეთეს თესდა. შენ არ მომკვდარხარ. არ შეიძლება სიკეთე და პატიოსნება მოკვდეს.

უკვე დაღლილი ვარ და ძალაგამოცლილი. მე ხომ სიკვდილს ბევრჯერ ჩავხედე თვალებში, ალბათ შენ მფარველობდი, მიცავდი. ახლა კი ნელ-ნელა მოვკაკვარ ცხოვრებას შენსკენ, ფეხზე მდგომი, მაგრამ დაცემული... ცხოვრება ხომ სულ დაცემა და წამოდგომაა...

გზის ბოლოში მე ვარ, გზის თავში კი—ტაძარი და შენ. იქამდე დიდი აღმართია, ძალა უნდა მოვიკრიბო და შევძლო, ღირსეულად წარვსდგე უფლისა და შენს წინაშე. მე მწამს უფლის დიდება და სამართალი. მჯერა ის გადარჩება წუთისოფელში, ვისაც რწმენა და სიყვარული მიიყვანს ტაძრამდე, რადგან სიყვარულია სამყაროს ღმერთი და წუთისოფლის აღდგომა. ამყამად მხოლოდ ის მანუგეშებს, თითქოს გიჭირავს ჟურნალი „კრიალოსანი“ და შენი თბილი ხმით კითხულობ ნეტარი ავგუსტინეს სიტყვებს: „ნუ ტირი, თუ მართლა გიყვარვარ, მე მხოლოდ გაღმა მხარეს გაველ.“

„სიკვდილის მოახლოება სულით ძლიერთ ნაკლებად აშინებთ, რადგან მუდამ რჩებიან იმად, რაც არიან.“ ამიტომ წახვედი უხმოდ, უხმაუროდ, უსაყვედუროდ. წახვედი მორჩილად, დაღლილი, გულის ყრუ ტკივილითა და ჩუმი სევდით. უფალმა ასე ინება.

მე კი ვარსებობ იმისთვის, რომ მეუღლე და დედა მქვია, კიდევ იმისთვის, რომ ვილოცო შენი სულისთვის, გაგიადვილო სავალი ბილიკისა, რომელსაც ადგახარ, ვარსებობ იმისთვის, რომ მაქვს ერთი ოცნება... მაშინ, როდესაც სიკვდილი მეც ამყრის ბორკილებს, როგორც მოულოდნელად შენც აგყარა, როცა ჩემი სული შემოვა იქ, სადაც შენმა სულმა შემასწრო, შენ კვლავ შეხვდები იმას, ვისაც ასე უყვარდი და ისევ უყვარხარ, და გეტყვი შენ სახეგაბრწყინებულს ჩემი ხილვით. რომ აპა, მოვედი შენთან და აღარასოდეს, აღარასოდეს მიგატოვებ და ვიქნებით ერთად აწდა მარადის უკუნითი უკუნისამდე“..

***

პატივებას ვთხოვთ ყველას. ერთ საგაზეთო წერილში ვერაფრით დავტევდით თითოეული მომგონებლის ტკივილიან სტრიქონებს. წიგნი მთლიანობაში უნდა წავიკითხოთ, კარგად გავაცნობიეროთ პიროვნება, თუმცა ვალერიან ბენიძის ფენომენს ვერც ეს წიგნი ამოწურავს ბოლომდე.

***

ბაგონმა ვალერიანმა ღირსეული ოჯახი და შთამომავლობა დაგოვა, ჩვენი საზოგადოების საპატიო წარმომადგენლები—შვილები რევზი და ქეთევანი, შვილიშვილები. შვილიშვილი ვალერი ბენიძე ამერიკაში ცხოვრობს და ცდილობს ღირსეული ქართველკაცობით პატივი მიაგოს ბაბუის სახელს და ოჯახის ტრადიციებს.

ბაგონი ვალერიანის შეუფასებელ ნაღვაწში ლომის წილი უდევს მის ულამაზეს გულისწორს, უკეთილშობილეს ქალბაგონს იზოლდა ხაინდრავას. როგორ ამშვენებდა ეს არაჩვეულებრივი წყვილი ზუბს, ლეჩხუმს, ენებავთ, სრულიად საქართველოს. ქალბაგონი იზო უდიდესი შემართებით, სიყვარულით, მართლაცდა კოლხური ერთგულებით მხარში ედგა მეუღლეს და ერთად აკეთებდნენ კეთილ საქმეებს. შეუდარებელი რძალია ქალბაგონი იზო, ლეჩხუმისა და ზუბის თაყვანისმცემელი,

ვუსურვებთ ჩვენს უფროს კოლეგას სულის მხნეობას, ღღეგრძელობას. დარწმუნებული ვართ იგი ჩვეული შემართებით შეძლებს მეუღლის ყველა ჩანაფიქრის განხორციელებას.

***

ახლა ბენიძეების ულამაზეს ეზოკარში იდუმალი სიწყნარეა, სევდა და მდუმარება. თოვლის საფარქვეშ გარინდულა ეზოს ქვა-ლოდი—ოჯახის რელიქვია და სიწმინდე, გარინდულა გაზაფხულის მოლოდინში...

გაზაფხული კი შორს როდია. მოფრინდებიან ფუძის მერცხლები და სიცოცხლის განახლებას იჭიკჭიკებენ; ეზოყურე ია-ყოჩვიარდებით მოიჩითება,

იები „წმინდა გორაზეც“ მოქარგავენ ლამაზი კაცის ლამაზ სავანესა და ცრემლად დაიღვრებიან.

ისევ გაიღება ბენიძეების სახლის კარი ყველასათვის, ისევ წამოვა იქიდან სითბო, სიყვარული და სიკეთე. შვილები და შვილიშვილები გააცოცხლებენ ირგვლივ ყოველივეს.

***

ვალერიან ბენიძეს გამოქვეყნებული ჰქონდა 70-მე მეტი მეცნიერული ნაშრომი, მათ შორის 26 ცალკე წიგნად და ბროშურად, მაგრამ ამასთან იგი გახლდათ პოეტური სულის, მისი ამაღლებული, განცდებითა და ფრძნობებით სავსე სტრიქონები შეგანილია ლექსების სამ კრებულსა და ნოველებში. სხვათაშორის, მისი ლექსები მოგონებების წიგნშიცაა შეგანილი.

დამინდე ჩემო წისქვილო,
ნუ დამაჩქარებ ბერიკაცს,
გამოიზოგე საფქვავი—
სათქმელი კვლავაც ბევრი მაქვს.

მართლაც და იხვ რამდენი ჰქონდა სათქმელ-საკეთებელი. ბერიკაცობას მასთან რა უნდოდა. ამიტომაც წერდა: „ბიჭივით მიედევ ქვეყნის მარათონს,“ ან კიდევ: „მართალი არის წლებს კი ვაგროვებ, მაგრამ სიბერე ვერ მოვასწარიო.“ კვლავაც შემართული, ემოციით სავსე 78 წლის ავტორი იმედიანი წრფელი თავის სტრიქონებში, თუმც მშვენივრად იცის, რომ ყველაფერი ისე არ არის, როგორც ჩვენ გვინდა, წარსულს გაჰყურებს და ამბობს:

თუ კი რამ მინაგრია,
უკვდავება კი არა,
ბუნებრივ სიკვდილამდე
უსიკვდილოდ მეარა.
სიცოცხლეში ერთხელაც,
არ მოვმკვდარვარ, მე არა
ამისრულდა სიცოცხლეში
არ მომკვდარვარ მე არა...

დიახ მას ჰქონდა ამის ხმამაღლა გაცხადების უფლება.

***

ვინ იცის, მერამდენედ ტკივილით ვფურცლავ ავტოგრაფით დამშვენებულ ლექსების კრებულებს და თავს ბედნიერად ვთვლი, რომ განუმეორებელი წყვილის- იზოლდა და ვალერიან ბენიძეების მეგობარი მქვია.

ᲔᲚᲔᲝᲜᲐᲠ ᲫᲜᲔᲚᲐᲫᲔ.

ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲡᲤᲔᲠᲝᲡ 2006 ᲬᲚᲘᲡ ᲚᲐᲣᲠᲔᲐᲢᲔᲑᲘ

—წლის საუკეთესო მოვლენად მიჩნეულ იქნა დიდი ტრადიციების მქონე ცაგერის გრიგოლ მდივნის სახელობის სახალხო თეატრის მუშაობის განახლება. შამხოლოვის სცენარის მიხედვით სპექტაკლ „დედამთილის“ პრემიერა.

—წლის საუკეთესო ფოლკლორული კოლექტივის სახელი მოიპოვა ცაგერის კულტურის სახლის ვაჟთა ფოლკლორულმა ანსამბლმა „სალაღობომ“ (ხელმძღვანელები: ზაზა ყურაშვილი, სპარტაკ კვირიკაშვილი).

—წლის საუკეთესო ქორეოგრაფიული ანსამბლის ტიტულის მფლობელი გახდა არაერთი საერთაშორისო და რესპუბლიკური ფესტივალების ლაურეატი ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლი „ლეჩხუმი“ (ხელმძღვანელი ზურაბ ჩანქსელიანი).

—ლეჩხუმის ფოლკლორის ერთგულების, მისი შენახვისა და პროპაგანდისათვის ყველაზე ავტორიტეტულ კოლექტივად დასახელდა უხუცესთა ანსამბლი ლეჩხუმი (ხელმძღვანელი რაფიელ კოპალიანი)

—წლის აღმოჩენად მიჩნეულ იქნა ახალგაზრდული საესტრადო ჯგუფი „პატრიოტები“ (ხელმძღვანელები დათო ცვარიანი, მზია ცხადაია).

—წლის საუკეთესო ჭაბუკთა ფოლკლორული კოლექტივის სახელი მოიპოვა მოსწავლეთა რესპუბლიკური ფოლკლორული ფესტივალის ლაურეატმა ქ. ცაგერის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლთან არსებულმა „ხვამლმა“ (ხელმძღვანელი რუსუდან ყურაშვილი).

—წლის საუკეთესო ნოვატორულ ნაშრომად მიჩნეულ იქნა ლეჩხუმის ეთნოგრაფიული კალენდარი (ავტორთა ჯგუფი, რედაქტორი დათო სანთელაძე).

—წლის საუკეთესო ნობათად მიჩნეულ იქნა საპრეზიდენტო პროგრამის ფარგლებში რაიონის სხვადასხვა ფოლკლორული და ქორეოგრაფიული კოლექტივებისათვის კულტურის ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს მიერ საჩუქრად ჩოხებისა, სხვა აღჭურვილობისა და ინსტრუმენტების გადაცემა.

წმიდა ნინო—ქართველთა განმანათლებელი

კაბადოკიელი ქალწული წმიდა ნინო, დიდმოწამე გიორგის ახლო ნათესავი იყო. იგი სახელგანთქმული პატიოსანი მშობლების—რომის მხედართმთავრის ზაბულონისა და იერუსალიმის პატრიარქის, იუბენალის დის — სოსანას ერთადერთი ასული იყო.

ნინოს მოხუცი ქალი ზრდიდა—სარანიაფოსი, ამზრდელი ქრისტიანულად ზრდიდა მომავალ წმიდანს, უამბობდა მაცხოვრის მიწიერი ცხოვრებისა და წამების ამბავს. სარასაგან შეიტყო ნინომ, თუ როგორ მოხვდა ქრისტეს კვართი წარმართთა ქვეყანაში—საქართველოში.

ნინო ევედრებოდა ყოვლადწმიდა ღვთისმშობელს—საქართველოს ნახვის ღირსი გაეხადა. ყოვლადწმიდა ქალწულმა შეისმინა მისი ვედრება, სიზმარში გამოეცხადა და უთხრა: „წადი ჩემს წილხვედრ საქართველოში, იქადაგე იქ სახარება უფლისა ქრისტესი, მოიპოვებ მისგან მადლს და მე ვიქნები შენი მფარველი.“ ყოვლადწმიდა ღვთისმშობელმა ვაზის ჯვარი მისცა ნინოს და უთხრა. „მიიღე ჯვარი ესე ფარად და მფარველად ხილულთა და უხილავთ მტერთა ზედა.“ გამოღვიძებულ ნინოს მართლაც ჯვარი ეჭირა ხელში. მან სიხარულის ცრემლით დაალბო და საკუთარი თმებით შეკრა იგი.

და წამოვიდა წმიდა ნინო საქართველოში. მოდიოდა იგი, მთებით, ფარავნის ტბასთან გაიცნო მცხეთელი მწყემსები. ტანჯვა-წამებით მოაღწია ქალაქ ურბნისამდე. შემდეგ ჩავიდა მცხეთაში. ნინოს ირგვლივ ლანდათან იკრიბებოდნენ ქრისტეს სჯულის თაყვანისმცემლები და მათი რიცხვი დღითიდღე იზრდებოდა.

წმიდა მოციქულის სწორის ძალისხმევით საქართველოში განმტკიცდა ქრისტიანობა.

წმიდანის სურვილისამებრ მისი პატიოსანი გვარი ბოდბეში დაფლეს.

27 იანვარს მთელს საქართველოში აღინიშნა ქართველთა დიდი განმანათებლის წმიდა ნინოს ხსენების დღე. განსაკუთრებით ბევრმა მომლოცველმა მოიყარა თავი ბოდბეში წმიდანის საფლავთან, მათ მუხლი მოიყარეს წმიდანის წინაშე.

ქალბატონ მედიკოს ასათიანს

ვარ 75 წლის, დაავადებული გულსისხლძარღვებით. რამდენიმე წელია ჩემი მკურნალი გახლავთ ქალბატონი მედიკო ასათიანი და დიდად კმაყოფილი ვარ მისი გულისხმიერებითა და სწორი მკურნალობით.

და მაინც გახლდით თბილისში კონსულტაციაზე პროფესორ ორჯონიკიძესთან. მან დეტალურად გამსინჯა და მკითხა რა მედიკამენტებს იღებდითო. როცა მოვუყევი ყველაფერს, მიპასუხა: დაუჯერეთ თქვენს მკურნალ ექიმს და ყველაფერი კარგად იქნებაო. არავითარი დამატებითი რამ არ გამოუწერია.

არამარტო ჩემი, მედიკო ასათიანი ყველას იმედია. მოწიწებით ვხრი თავს მის წინაშე.

ღმერთმა აცოცხლოს ჩვენს საიმედოდ.

ოთარ საღინაძე

„ჰოეტი მაინც ერთი ლექსია უფლის ქვერიჯით ცამდე მართალი“

ლოცვა

მამაო, ვხედავ რა, რომ ვარ აწ დავრდომილი,
წინაშე შენსა წარმოვსდგები შემცოდე შვილი,
მუხლსა მოვიდრეკ მოწიწებით, მაქვს სინანული,
თუ რად ვიღელვე ბოროტებით უმანკო გული.
გვედრი შემოქმედს, ნუ მიხედავ ცოდვას წარსულსა,
არამედ იგი შთამინთქვი უღრმეს უფსკრულსა,
შენ, მაცხოვარო! მიეც სნეულს ჩემს გულს ფონება
და დაუბრუნე ადრინდელი მას მეუდროება.
გცოდე შენ, ღმერთო, ვითა სცოდავს კაცი ცოდვილი,
ვინ არს ქვეუნად უცოდველი მხოლოდ შობილი.
აურაცხელის ბოროტებით ესრედ საგსეა.
ნუ, ნუ, მამაო, ნუ მარიდებ მე ჰირსა შენსა,
არამედ ცოდვის სასტიკი მტერი მსწრაფლ განმარინე,
და ესრეთ დანთქმად მიღწეულსა, სნეულს მიღხინე.
მრავალ მოწყალევ! მასვი ცოდვილს უკვდავი წყარო,
რათამცა გული განწმენდილი მით დავიმტკბარო!
განმიახლე შენ, უხილავო, მე წრფელი სული,
ადრე ჩემ შორის რომე იყო დამკვიდრებული.
ყოველთ მხილაო! ნუ მიტევებ ძეს შეცდომილსა,
ხომ სჯვრეტ შენს წინა ვით აქვს ძრწოლა შემცოდე შვილსა?
ნუ, ნუ მამაო! ნუ ინებებ ჩემსა დასჯასა,
და მოწყალებით გადმოხედე ჩემსა აჯასა!
შემცოდე შვილსა მასწავლე გზა შენი მართალი,
რომელსა ზედა შენს ცოდვილს ძეს მქონდეს სავალი!

ჩემი ეპიტაფია

მკითხველო! ჩემს სახლს რას დააცქერდი,
რას ჩამომეურებ დაფიქრებული?
მეც ერთხელ შენებრ სოფელს დავმღერდი,
შენებრ მეც ვიუავ აუვავებული.
აწ რიგი მერგო, აქ გადმოვსახლდი,
აქ არის ჩემი მიწა, სახლ-კარი,
აქ ვდგავარ მკვიდრად, ვითა კლდე მყარი,
და შენ კი მანდ ხარ მხოლოდ სტუმარი.

ივანე კერესელიძე

სპორტის 2006 წლის ლაურეატები

საუკეთესო სპორტსმენი—ირაკლი დაშნიანი
საქართველოს ჩემპიონი ქართულ ჭიდაობაში ჭაბუკთა შორის (მწვრთნელი კობა ქომეთიანი)

საუკეთესო ათეულში შევიდნენ:
ზვიად ბურჯალიანი—თავისუფალი ჭიდაობა
ვეგო ყურაშვილი—ფეხბურთი
დათო ლიპარტელიანი—ფრენბურთი
მამუკა მახარობლიძე—თავისუფალი ჭიდაობა
გიორგი სილაგაძე—ქართული ჭიდაობა
მამუკა მუშკუდიანი—ფრენბურთი
თეიმურაზ ახვლედიანი—ქართული ჭიდაობა
ლევან დაშნიანი—ფეხბურთი
შალვა მეგრელი—ძიუდო

***

წლის საუკეთესო **სპორტული კოლექტივის** სახელი მოიპოვა რაიონის ვაჟ ფრენბურთელთა ნაკრებმა გუნდმა (მწვრთნელი: თენგიზ საღინაძე), რომელმაც საქართველოს ფრენბურთელთა ევროპულ ჩემპიონატში დაიკავა II (მეორე) საპრიზო ადგილი. →

***

წლის **რჩეულ ჭაბუკთა გუნდად** დასახელდა საფეხბურთო გუნდი „ხვამლი“.
(მწვრთნელები: პორფილე კოპალიანი, მერაბ ბერუჩაშვილი).

←

გილოცავთ!

ირმა მუშკუდიანს! ბაკურ კოპალიანს!

მთელი სულითა და გულით გილოცავთ შეუღლებას, ბედნიერი მომავალი გქონოდეთ, თქვენი დიდი სიყვარული ხანგრძლივ თანაცხოვრებას კიდევ უფრო გაელამაზებინოს!

იმრავლეთ, იხარეთ!

მეგობრები

„ცაგერის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო სამსახური სამძიმარს უცხადებს ოჯახს, ყოფილი თანამშრომლის

იური ბენდელიანის

გარდაცვალების გამო.

რედაქტორი
თამარ დავითულიანი

პასუხისმგებელი მდივანი
მზევინარ ძნელაძე

სარედაქციო კოლეგია:
ეკა ყვირალიანი,
მარინა სვანიძე,
ეკა ბენდელიანი

მისამართი:
ცაგერი, რუსთაველის №47 მოს: 899 951678

გაზეთი აიწყო, დაკაბადონდა და ოფსეტური წესით დაიბეჭდა ქუთაისის შპს „მანდარინის სტამბაში“
ქ. ქუთაისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №33
ტელ: 23779, 23499